ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595155500

N 387
29/10/2019

387-07-3-201910291409

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა:

- კომისიის 10 სხდომა;
- კომისიამ განიხილა 19 საკითხი;
- კომისიამ განიხილა ელექტრონული პეტიცია, ,,გურული მხედრების“ სახელობის მოედნის სახელდების შესახებ;
- კომისიამ განიხილა საკითხი ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩის დამისამართებასთან დაკავშირებით;
- კომისიამ განიხილა საკრებულოს რეგლამენტში ცვლილება;

კომისიამ აგრეთვე განიხილა:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი, სადაც აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია პროგრამები მორგებული იყოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე, რათა მათ გამარტივებულად და საჭიროებისამებრ შეძლონ აღნიშნული პროგრამების გამოყენება.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი, რომლის მთავარი ფუნქცია საკითხის უკეთ და ღრმად შესწავლაა, ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმაში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება.
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში გახორციელდა ცვლილება, კერძოდ დოკუმენტის 90-ე მუხლი დაიხვეწა ამომრჩევლებთან შეხვედრის ნაწილში და იგი მეტად ორიენტირებული გახდა მოქალაქეთა აქტიურ და შეუზღუდავ მონაწილეობაზე საჯარო საქმნიანობაში. ასევე ცვლილებები განხორციელდა საკრებულოს შემადგენლობაში, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების შემადგენლობაში და საკრებულოს აპარატის დებულებაში.

❖ კომისიის საზედამხედველო საქმიანობა

- ✓ კომისიამ მოისმინა მერიის იურიდიული სამსახურის ანგარიში;
- ✓ კომისისამ მოისმინა მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიში;

- ✓ კომისიამ მოისმინა ა(ა)იპ ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების “ მიერ 2018-2019 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;
- ✓ კომისიამ მოისმინა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;
- ✓ კომისიამ მოისმინა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში;

აღსანიშნავია, რომ კომისიის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში ათობით მოქალაქეს გაეწია იურიდიული კონსულტაცია სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე.

პატივისცემით,

ვერიკო კვირკველია

ვ. კვირკველია

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე